საქართველო

ოთხშაბათი მეხუთე | სამშაბათი, 12 მარტიამოგისთვე 1919 წ. № 171 | ფასი 3 მან.

ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ეღირება 180 მან. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 60 მან. ცალკე № 3 მან. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა— 2 მ. 50 კ ნისია განცხადებები 3 მ. სამგლოვიარო განცხადება თითოეული 60 მ. მისამართგამოცვლა 10 მ. რედაქცია და კანტორა ღიაა დილის 9 საათ. ნაშ. 3 საათამდე.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა; ფოსტის ადრესი, თბილისი, ფოსტის ყუთი № 76; ტელეგრამის ადრესი:—თბილისი „საქართველო“.

ტელეფონი № 15—73.

ყურადღება!.. | მოითხოვეთ საუკეთესო ხარისხის | ყურადღება!..

ARAKI, KONIAKI DA KAXURI RVINO

ძმ. სესიაშვილებისა

(ღვინო იყიდება „ვედროობით“ და „ბოჭკოობით“ სელმისაწვდენ ფასებში) მისამართი ვაგზლის ქ., ტ. ტელეფ. 25—86

25—86—15

4 მარიამობისთვეს ამა 1919 წელს გარდაცვალებულ ექიმ

ალექსანდრე (საშა) ჯაფარიძის

დიდ-მამა, ცოლი, ძმა და დები დიდ მადლობას უცხადებენ ცხინვალის საზოგადოებას, ცხინვალის კლუბის წევრებს, საექიმო პერსონალს, ჯორის მაზრის ექიმთა კავშირს, არბოს და ქორდის საზოგადოებას და 1 ქართულ ცხენოსან პოლკის უფროსს, რომელთაც პატივი სცეს განსვენებულს, როგორც პირადი დასწრებით, აგრეთვე წერილობით და დეპეშებით სამძიმრის გამოცხადებისათვის.

1—2571—1

გამოვიდა და იყიდება

ალ. ასათიანის წიგნი

მიწის საკითხი საქართველოში.

1) მიწად-მფლობელობის ფორმები. 2) მიწად-მფლობელობა საზოგადო და კერძო საკუთრებითი. 3) სახელმწიფოს საგრარო პოლიტიკა. 4) მიწად-მფლობელობის მასალები. სახაზინო, საუფლისწულო და ხიზნების შფლ. 5) კერძო მიწად-მფლობელობა. 6) კერძო მიწად-მფლ. რაოდენობა და მიწის ფონდი. 7) მეურნეობის პირობები. 8) სოციალისტური პარტიების საგრარო პოლიტიკა. 9) მეურნეობის დიფერენციაცია. 10. მიწის საკითხი ევროპის სახელმწიფოებში. 11) რევოლიუციური საგრარო პოლიტიკა. 12) ბოლოსიტყვაობა.

10 6—10

გამოვიდა

ვალერიან გაფრინდაშვილის

ლექსების წიგნი:

დაისები

გამოცემა „კირჩხიბის“, ფასი 25 მანეთი.

უფასოდ ნ მოწაფეთათვის ი. მ. მაჩაიძის

გიმნაზია

(სასულ. სასწ. სახლი) ჩერქეზიშვილის ქ. № 22, შესავალი 2 „პოდიეზდი“. აცხადებს მიიღებინ თხოვნები 1, 2, 3, 4, 5 და ყველა კლასებში სადაც სწავლა სწარმოებს ქართულ და რუსულ ენაზე დილით, 6, 7, 8 კლასში საღამოთი მოზრდილთათვის. ბავშვები საანბანო, უმცროს, უფროს განყოფილ. მიიღებიან გამოუცდელად. თხოვნები მიიღება 9—1 ს. დილით.

(1—2582—1)

საქართველოს სატრანსპორტო საზოგადოების გამგეობა აცხადებს, რომ საზოგადოების აქციონერთა

საზოგადო კრებ. გაგრძელება

დანიშნულია პარასკევს, 15 მარიამობისთვეს, საღამოს 7 საათზე, სავაჭრო სამრეწველო პალატის ბინაზე (ფრეილინის ქუჩა № 11).

3—156—1

4 მარიამობისთვეს

ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲓᲘᲚᲘ

12 ᲛᲐᲠᲢᲘᲐᲛᲝᲑᲘᲡᲗᲕᲔ 1919 ᲬᲚᲘᲡ

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ (ᲡᲐᲨᲐ) ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲘᲡ

ᲛᲝᲚᲝᲪᲕᲐ

ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘᲐ

ᲛᲘᲬᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ.

1) მიწად-მფლობელობის ფორმები. 2) მიწად-მფლობელობა საზოგადო და კერძო საკუთრებითი. 3) სახელმწიფოს საგრარო პოლიტიკა. 4) მიწად-მფლობელობის მასალები. სახაზინო, საუფლისწულო და ხიზნების შფლ. 5) კერძო მიწად-მფლობელობა. 6) კერძო მიწად-მფლ. რაოდენობა და მიწის ფონდი. 7) მეურნეობის პირობები. 8) სოციალისტური პარტიების საგრარო პოლიტიკა. 9) მეურნეობის დიფერენციაცია. 10. მიწის საკითხი ევროპის სახელმწიფოებში. 11) რევოლიუციური საგრარო პოლიტიკა. 12) ბოლოსიტყვაობა.

ᲛᲠᲔᲜᲕᲔᲚᲝᲒᲐ ᲓᲐ ᲕᲐᲭᲠᲝᲒᲐ ᲜᲐᲓᲒᲣᲠᲓᲔᲑᲐ

ᲕᲐᲭᲐᲠ-ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲗᲐ ᲙᲐᲚᲐᲢᲐᲡᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ?

საქართველოს ვაჭრობა-მრეწველობას და საზოგადოთ ნაციონალური მეურნეობის ყოველს დარგს თავიდანვე მძიმე ლოდათ აწევს სოციალისტური მთავრობის მოღვაწეობა. ამ მთავრობის უუშაობა თავიდანვე მიმართული იყო საქართველოს საწარმოო ძალების განადგურებისაკენ და ეს საბედისწერო პოლიტიკა არამც თუ არ იცვლება, არამედ კიდევ უფრო ცხოველდება უკანასკნელ დროს.

საქართველოს ვაჭრობა და მრეწველობა შოთმინებით იტანდა აქომამდე ამ აუტანელს პოლიტიკას იმ იმედით, რომ რევოლიუციური აღრევა დასრულდებოდა. საქართველოს მოეკლინებოდა სუვერენული ორგანო დამფუძნებელი კრება, უფლებრივ სახელმწიფოს საფუძველი ჩაეყოებოდა და ამის შემდგომ ადგილი აღარ ექნებოდა ქვეყნის საწარმოო ძალების გაჩანაგებას, განადგურებას.

საუბედუროდ ეს იმედები არ მართლდება და პოლიტიკა დემაგოგიის, ექსპროპრიაციის, რეკვიზიციის, ლეგალურ და არა-ლეგალურ ძარცვა გლეჯისა ისევ გრძელდება: უფრო ვრცელ მასშტაბსაც კი ღებულობს დრო-გამოშვებით.

სანამდის უნდა გაგრძელდეს ეს ქვეყნის ეკონომიურად განმანადგურებელი პოლიტიკა? ნუ თუ მანამდე, სანამ ჩვენი ქვეყანა სრულიად არ გაღატაკდება და მასში ყოველგვარი ღირებულობის შექმნა არ მოისპობა და სანამ ჩვენი ქვეყანაც ისეთს უდაბნოდ არ გარდაიქცევა, როგორიც ეხლა არის ბოლშევიკური რუსეთი?

ვინც ჩვენს ვაჭრობა-მრეწველობას იცნობს, ის დღეს ნათლად ხედავს, რომ ჩვენ უკვე მივაღწიეთ იმ ხაზს, რომლის შემდგომ საქართველოს ვაჭრობა-მრეწველობისთვის სრული დაღუპვა და დასამარება იწყება.

ვაჭარ-მრეწველთა წრეში უკვე გამეფდა სრული უიმედობა, საშინელი შიში, პანიკა. ყველა იმაზე ზრუნავს, რომ რამეფრად თავს უშველოს და სრული გაღატაკება თავიდან აიშოროს.

რასაკვირველია ყველა ასეთს გუნებაზე არ არის. ერთი ნაწილი, სოციალისტური პოლიტიკის მეოხებით შექმნილი და განებივრებული არა-ლეგალურად მოვაჭრენი, სპეკულიანტები თავს კარგად გრძნობენ, წინაღმდეგ ამისა, მათს უბანში ეხლა კიდევ უფრო დიდი დღესასწაულია. ლეგალური ვაჭრობა მრეწველობის შევიწროება და დასუსტება ამ სპეკულიანტებს ფრთას ასხამს და აძლიერებს.

მათ აღარ აქვთ ფირმა „ვივესკა“, რომ სახელმწიფომ, თუ ქალაქმა ათასჯერ დაბეგროს და ათასჯერ ტყავი გააძროს, მისთვის არ არსებობს შუშათა საკითხი და მთავრობის აგენტების კანონიერი თუ უკანონო ხარჯები.

მხოლოდ ამ ნაწილს ვაჭრებისას აწევს შემხუთავ ძალად ჩვენი სოციალისტური მთავრობის მოღვაწეობა, რომელიც დღემდე სცდილობს ლეგალურ ვაჭრობის გაგრძელებას. მათ აწევს კისერზე ათასგვარი გადასახადი სახელმწიფო, საქალაქო, საერობო, ეს გადასახადები მათზე არასოდეს არ ყოფილა სამართლიანად და მოზომილად გაწერილი. „ბურჟუების“ შევიწროება სოციალისტური მთავრობისათვის საძრახისი როდია. არც იმდენი გონიერება გამოსჩენიათ ჩვენი პოლიტიკის მეთაურებს, რომ მათ გაეგოთ, რა ზომამდე შეიძლება ამ ბურჟუების შევიწროება ისე, რომ ქვეყნის ეკონომიური ცხოვრება ხიფათში არ ჩავარდნილიყოს. გადასახადებს რომ თავი დავანებოთ,—და გადასახადებს ეხლა ხომ მარტო ეს ქალაქის მცხოვრებნი იხდიან, ვინაიდან სოფელში გადასახადების მოთხოვას ჩვენი „დემოკრატიული“ მთავრობა ჯერ კიდევ ვერ ბედავს,—ათასგვარი თვითნებური აქტი და მოღვაწეობა მთავრობის დაწესებულებებისა და აგენტებისა ხომ მთლად აუტანელად ხდის ჩვენი ქვეყნის ვაჭრობა-მრეწველობას... რევოლიუციის დროს ექსპროპრიაციის და რეკვიზიციის უფლება მინიჭებული ჰქონდა ყველას—მთავრობას, ქალაქებს, ერობას, მთავრობის უწყებებს, თუ კერძო აგენტებს ე. ი. ყველას, ვისაც ამის სურვილი ჰქონდა.

იანვარში, თითქოს მოისპო ასეთი განუსაზღვრელი თვითნებობა. ეს მხოლოდ ქაღალდზე მოისპო. ფაქტიურად მას ყოველგან ჰქონდა ადგილი როგორც პროვინციაში, ისე ქალაქებშიც. ამას მოჰყვა შესანიშნავი ქალაქის ქონების სყიდვა-გასყიდვის და დაგირავების აღკრძალვა და შესანიშნავი პროექტების შემუშავება ქალაქის ქონებების ჩამოსართმევად. ამას მოჰყვა ვითომც და მონოპოლიების შემოღება. ნამდვილად კი სრული თვითნებობით ჩამორთმევა და დასაკუთრება სხვისი ქონების, საქონელის. თვით ვაჭარ-მრეწველთა წრემ აღძრა საკითხი, კერძო პირთ არ ძალუძთ წესიერად და ქვეყნისთვის სასარგებლოდ საქონლის უცხოეთში გაზიდვისა და იქაური საქონლის შემოზიდვის საქმის მოგვარება, აქ საჭიროა მთავრობის დახმარება. მთავრობამ ამის საპასუხოდ ხელი მოჰკიდა მათგან საქონლის ვითომც და „შესყიდვას“ ნამდვილად კი ჩამორთმევას. ამ საქონელს წავიღებ, ვალუტას შევიძენ, იქიდან საქონელს მოვიტანო და სხ. ნეტავ თუ მოიპოვებიან მთავრობაში ისეთი გულუბრყვილონი, რომელნიც ჰფიქრობენ, რომ ამ წესით რამე ქვეყნისთვის სასარგებლო საქმე გაკეთდეს. დღემდე კი ასეთმა ნაბიჯებმა დიდი არევ-დარევა გამოიწვია და მეტად საშიში არევ-დარევა და საქონელს ართმევენ არა მარტო იმათ, ვისაც ის გასაყიდათ აქვს, არამედ იმათაც ვისაც ეს ნედლი მასალა გადასამუშავებლად აქვს, თავის წარმოებისთვის. იმის ნაცვლად რომ მთავრობა-ხელს უწყობდეს ნედლი მასალის აქ გადამუშავებას, ის იმასაც კი სპობს, რაც აქ არსებობს. ასეთი მოვლენების საშიშროება იქნებ არ ჰქონდეს გათვალისწინებული მთავრობის წვრილს აგენტებს, მაგრამ ნუ თუ ამას ვერ ხედავენ ჩვენი პოლიტიკის მეთაურნი? ასეთი მონოპოლიებისათვის ძთავრობამ განსაკუთრებული ორგანო შექმნა „ბიგ მოუყარა თავისი ოდესის კომისიონერებს და ძველი „კომიტეტ სნაბჟენიის“ მიღვაწეებს. ამ კომიტეტს მილიარდის საქონელი ჰქონდა სწყობებში და მათი შენახვა ვერ მოახერხეს: ეს ქონება დაღნა, გაიფლანგა და გაიძარცვა და ეხლა მათთვის ეხელოს საქართველოში უნდა შეაკრიბონ საქონელი, რომ მათ ამ საქონელს თავისებური 1) რეალიზაცია უყონ. ამით თურმე ვალუტაც შეიქნება! ამ ახალს „ბომარაგების ბიუროში“ შეხედვაც კი ვერ გაუბედნია ქართველ ვაჭარ-მრეწველთ. იქ მათ ბიუროს ქართველი წევრები ლანძღვა-გინებით და შეჭარით ხვდებიან—თქვენ სპეკულიანტები ხართ, ქვეყნის დამქცევნო. სამაგიეროთ ოდესელ „მსოფლიო მოქალაქეებისთვის“ იქ კარები მუდამ ღიაა თავისთანების შემწეობით. ქართველ მრეწველებს საქონელი იაფად უნდა ჩამოვართვათ, რომ ოდესის სპეკულიანტებმა და მომარაგების კომიტეტში მოკალათებულ კომისიონერებმა „საქონლის გაცვლა“ აწარმოონონ... საქართველოსთვის ვალიუტის შესაქმნელად!.

ასეთს კოშმარს თან დაერთო დამფუძნებელი კრების 18 ივლისის სანატრელ გადასახადის დეკრეტის ცხოვრებაში პირდაპირ შეუწყნარებელი სახით გატარება. დეკრეტი ქალაქებსა და ერობებს ანიჭებს სასანიტარო გადასახადის რაოდენობისა და მისი მცხოვრებთა შორის განაწილების წესის შებუნებების უფლებას. ჩვენმა ქალაქის სოციალისტ მამებმა აიღეს კარანდაში ხელში და თბილისს 52 მილიონი გააწერეს, ისი ათასობით დადგს სავაჭრო და სამრეწველო ფირმებს. ეს მხოლოდ ერთი გადასახადია. ამას მიუმატეთ კიდევ მრავალი სახელმწიფო, საქალაქო და საერობო გადასახადები.

ამას მიუმატეთ კიდევ საქალაქო ქონების ჩამორთმევის, დაწარმოებათა სოციალიზაციის, პრესპექტივები და ამრამად გამეფებული თვითნებობა და რეკვიზიციები!

მაჭრობა-მრეწველობის მდგომარეობა სოციალისტურ საქართველოში აუტანელი შეიქმნა. სარწმუნო წყაროებიდან გვამცნობენ: ათიოდე უდიდესმა ფირმამ უკვე გადასწყვიტა საქართველოდან გადგარგება მეზობელს ქვეყნებში და ამის გამო თავის წარმომადგენლებიც გაგზავნეს იქ საქმის მოსაგვარებლად. ეს იქნება ისედაც სუსტი ჩვენი საწარმოო ძალების სრული განიავება და განადგურება. უფიქოდება თუ არა მთავრობა ასეთი მდგომარეობის ხიფათს. გრძნობს თუ არა ის, როგორ მძიმე პასუხისმგებლობას იღებს ის ქვეყნის წინაშე. მაგრამ სოციალისტური ფრაზეოლოგიით გაბრუებულ წრეებს უკვე აღარ შეუძლიან ამის შეგნება. მაშინ სად არის ვაჭარ-მრეწველთა პალატა. რათ არ იწვევს პალატის კომიტეტი პალატის წევრთა საერთო კრებას?

ჩვენი პოლიტიკის მეთაურებს საქართველოს ვაჭრობა-მრეწველობის სრული განადგურების საკითხი დაუყენებიათ თავის დღიურს წესრიგში და პალატას ჰმართებს ამის შესახებ ხმის ამოღება.

ᲚᲔᲩᲮᲣᲛᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის წინადადება, რომ დამფუძნებელ კრებას გაეგზავნა ლეჩხუმში კომისია იქ გამეფებულ საშინელების მიზეზების გამოსარკვევად და სათანადო ზომების მისაღებად, მმართველმა პარტიამ არ შეიწყნარა. ლეჩხუმში არაფერი არ ხდება ისეთი, რომ ასეთს ზომებს მოითხოვდეს. მინისტრის ამხანაგმა ყოველივე უბედურობა ყაჩაღ მორჩაძეს მიაწერა, თუმცა მთელმა მაზრამ იცის, რომ ეს მკვლელობები ყაჩაღების საქმე არ იყო, სოც.-დემოკრატიული ფრაქციის წარმომადგენელმა კი საქმეს უფრო არსებითად შეეხო და დაასაბუთა ის ორგანიზაციულად შოწყობილი მკვლელობები, რომელნიც იქ ხდება თითქმის ყოველ დღე. ეს პირი მოჰკლეს, მაგრამ ის ბოლშევიკების დროს დიდს როლს თამაშობდაო, მეორე ძველად ციხეში მჯდარა ეკაკაობისათვის, მესამე და მეოთხე გზაში გაქცეულა და ასე ბოლოშდე. ყველა მკვლელობას გასასამართლებული საბუთი აღმოუჩნდა.

რისთვის არსებობს ლეჩხუმის მაზრაში სასამართლო და ადმინისტრაციაზ? რისთვის იხარჯება მათზე რესპუბლიკის ხაზინიდან ფული? მოქალაქეთა სიცოცხლის და თავისუფლების დაცვაში ესენი სრულიად უმწეო და უძალონო აღმოჩენილა.

ყოფილა მეორე ძალა, რომელიც ხაზინიდან ხარჯს არ ითხოვს და ამავე დროს ასამართლებს და სჯის ყველას ვინც მას მოესურვება. სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია თავის წარმომადგენელის პირით გვარწმუნებს, რომ ის პირები, რომელნიც დახოცილ იქმნენ, „მავნე პირები“ იყვენ, რომ აქ არაფერი ისეთი არ ხდება, რომ მთავრობამ და დამფუძნებელმა კრებამ მას ყურადღება მიაქციოსო. ლეჩხუმიდან გვატყობინებენ—„მავნე პირების“ სისტემატიური ჟლეტა კიდევ გრძელდება. დაადგენენ—ესა და ის პირი „მავნე პირიაო“ და ამის შემდგომ მას ჰკლავენ. სულ უკანასკნელს დღეებში მოჰკლეს ჭრებალოში ცხვედიანი, შემდგომ ცალფეხა ავადმყოფი გიორგობიანი.

ასე გრძელდება ხალხზე ნადირობა ლეჩხუმის მაზრაში და გამკითხავი არავინ არის.

ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲬᲠᲔᲔᲑᲨᲘ

5 მარიამობისთვის სხდომა.

სხდომას დაესწრნენ მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ბ-ნი გეგეჭკორი.

მინისტრები: ბ. რამიშვილი, კანდელაკი, სანელმწიფო კონტროლიორი ბ. გრგიჩაიშვილი. დაესწრნენ ბ. ქარციკაძე, სოლორაშვილი, ის. რამიშვილი, გრ. გველესიანი. მინისტრთა ამხანაგები ბბ. ავალიანი, ჭიჭინაძე, გელეიშვილი, ციხცაძე, საბახტარაშვილი, გედეგანიშვილი, ერაძე, დეპარტამენტის დირექტორი ჭიჭინაძე; საქმეთა მწარმოებელი კ. ჯაფარიძე, მდივნობს დ. ლომთათაძე.

დახმარება დაზარალებულ მსახიობთათვის

დაზარალებულ მსახიობთ დაეთმოთ მომარაგების კომიტეტიდან 6648 მან. ღირებული ტანსაცმელი. ეს თანხა მომარაგების კომიტეტისათვის გადასაცემად გადაიდოს შინაგან საქმეთა საშინისტროს განკარგულებაში საგანგებო ხარჯების დასაფარავად არსებულ კრედიტიდან.

მომარაგების სამმართველოს მთავარ გამგის მოხსენება.

საქონლის დამზადებისათვის

მთავრობის განკარგულებაში გადადებულ 50 მილიონ მანეთიდან გადაეცეს მთავარ მომარაგების სამართველოს 25 მილიონი მანეთი სანოვაგის დასამზადებლად, აგრეთვე ის თანხები, რომელიც ირიცხება ოც მილიონიან ფონდზე (თანხა გადადებული სავალიუტო საქონლის დასამზადებლად) და იმ საგანგებო ფონდზე, რომელზედაც შედიოდა პურის განაწილებიდან შემოსული ფული გადაირიცხოს მთავარ მომარაგების სამართველოს სახელზე, რათა იხარჯებოდეს სამართველოს მთავარ გამგის მიერ იმ საქმეებზე, რომელიც მინიჭებული აქვს მას დებულების თანახმად ყოველივე ანგარიშების წარმომება ამ თანხების შესახებ ევალება იმავე სამმართველოს მთავარ გამგეს. ფულის მოთხოვნილებას ბანკიდან ხელს უნდა აწერდეს მთავარი გამგე და ბუღგალტერი.

დახმარება მცხოვრებლებს

მთავრობის 28 მკათათვის დადგენილებით (მ. 6, ლიტ. 3)მომარაგების მთავარ სამართველოს განკარგულებაში, ონის რაიონის მცხოვრებთა საჭიროებისათვის გადადებულ 1 მილიონ მანეთიდან 300,000 მ. გადაიცეს ლეჩხუმის სამაზრო ერობას სეტყვისგან დაზარალებულ გლეხების დასახმარებლად, დანარჩენი 700,000 მან. კი რაჭის მაზრის ერობის მცხოვრებთათვის სურსათის მისაწოდებლათ. ყოველგვარი ანგარიშები ამ ფულის შესახებ უნდა წარმოადგინოს მომარაგების სამართველოს მთავარ გამგემ

მოხსენება ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრისა.

რეგისტრაციის საწარმოებლად.

გადაიდოს ათ მილიონიან ფონდიდან 16 ათასი მან. სამთო სამმართველოს განკარგულებაში სამადნო-საიჯარო ხელშეკრულებათა რეგისტრაციის მოსაწყობად

საწინდრო ფულის დაბრუნება.

თბილ. კონსერვატორიის პროფესორს ნიკოლოზ ლევიცკის დაუბრუნდეს 20,000 მან. საწინდარი, რომელიც მას ჰქონდა წარდგენილი ფასიან ქაღალდების სახით, სახელმწიფო თეატრის იჯარით აღების დროს.

მოხსენება მიწათ.-მოქმ. მინისტრისა.

გადასახლების საქმე.

მიწათ.-მოქმედების სამინისტროსთან გადასახლების განყოფილების დაარსების და საერთოდ გადასახლების საქმის ორგანიზაციის შესახებ მიღებულ იქმნას ცნობათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქალაქენო!

10, 11 და 12 აგვისტოს შესდგება დამფუძნებელი კრების დამატებითი არჩევნები.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სია არის № 2

ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქცია ერთად ერთი არა სოციალისტური ფრაქცია დამფუძნებელს კრებაში. ეროვნულ-დემოკრატიული პარტია გარს იკრებს დემოკრატიულ, არა სოციალისტურ წრეებს.

ხმა მიეცით № 2

უკანასკნელი ცნობები

სამხრეთ სლავიის დამოუკიდებლობა ესპანეთმა აღიარა.

მურმანზე და პსკოვის მიდამოში საბჭოთა ჯარი შეტევაზე გადავიდა.

დასავლეთის მიმართულებით ბოლშევიკებმა დაიხიეს.

ტრიესტში მუშებსა და იტალიის ჯარის შორის შეტაკება მოხდა.

არგენტინაში დიდი წყალდიდობის გამო 7 მილიონი ცხვარი დაიღუპა.

ბოლშევიკებმა მინსკი დასტოვეს.

აღმოსავლეთის ფრონტზე ქ. ტიუმენი აიღეს.

სამღვდელოება კოლჩაკს ოპოზიციაში ჩაუდგა-

დანიშვნა.

1 ცენტრალურ სასტატისტიკო კომიტეტის თავმჯდომარეთ დაინიშნოს მ. ნ. მანდელშტამი.

2. ცენტრალურ სასტატისტიკო საბჭოს თავმჯდომარეთ პ. ბ. გელეიშვილი.

მოხსენება გზათა დეპარტამენტის დირექტორისა.

მუშათა ხელსათისათვის.

მიეცეს გზათა უწყებას სამხედრო ფონდიდან 300,000 მან. სესხის სახით ტყიბულის მაღაროების მუშებისათვის სჯრსათის მისაწოდებლად.

მოხსენება შინაგან საქმეთა მინისტრისა.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოხსენება ქართულ ლატარიის გამგეობისათვის სოფლათ პირველი ქართული კინემატოგრაფიული არშიეის: „დამფუძნებელ კრების გახსნა“, „გვარდიის დღე საქართველოს დედა ქალაქში“, „საქართველოს დამოუკიდებლობის წლის თავი“ და „ქრისტინე“, საჩვენებლად ზოგიერთ ნივთების თხოვების შესახებ მიღებულ იქნას. გვარდიას და ჯარს სურათები უნდა აჩვენონ უფასოთ.

გოლოვაჩევსკის დაპატიმრება ბაკოში

7 მარიამობისთვეს, ბაქოს ერთ ერთ პირველ ხარისხოვან სასტუმროში აზერბაიჯანის მთავრობის განკარგულებით შეიპყრეს მუშათა კონფერენციის პრეზიდიუმი და მათ შორის ღოლობერიძე. ყველა დაპატიმრებული ბოლშევიკები არიან.

სამხრეთ სლავიის და ესპანეთი

ბელგრადიდან იუწყებიან, რომ ესპანეთმა სამხრეთ სლავია და მისი მთავრობა სცნო. ესპანეთის მთავრობა საუკეთესო სურვილებს უგზავნის სერბიელთა, ჯროატელთა და სლოვენთა მთავრობას და იმედს გამოსთქვამს, რომ ორივე ს. ხელმწიფის შორის ურთი-ერთობა ერთობ მეგობრული იქნება.

საგანგებო კრება პახელ კოოპერატ. ამხ. „პახლეთისა“

6 აგვისტოს ს. გურჯაანში დასრულდა საგანგებო კრება პახელ მევენახეთა კოოპერატიულ ამხანაგობის წევრთა წლიური კრება, რომელმაც მიიღო შემდეგი დადგენილება: 1) გადაეცეს საბჭოს გამგეობასთან ერთად თბილისში სარდაფის შეძენის საკითხის შესახებ საკითხის გამორკვევა და თუ საჭიროდ სცნობს მის შეძენას მოყვანილ იქმნეს სისრულეში, იმ შემთხვევაში თუ სარდაფის პატრონების მხრიდან უარი იქნება გაყიდვაზე ან და შეუძლებელი ფასი იქნება დანიშნული საზოგადოებისათვის მათ მიერ მაშინ აღძრულ იქნას შუამდგომლობა ვის წინაშეც ჯერარს რომ აღნიშნული სარდაფი გადაცემულ იქმნას საზოგადოებისათვის დეკრეტის თანახმად, როგორც საზოგადო კოოპერატიული დაწესებულებებისათვის 2) მიენდოს საბჭოს და გამგეობას შეიძინოს კახეთში მამული სარდაფის ასაშენებლათ, სადაც ისინი დაინახავენ სამჯობინოთ 3) მიენდოს საბჭოსა და გამგეობას მოიწვიოს საქართველოს შევენახეთა პირველი კონგრესი და გასწიოს ამისათვის საჭირო ხარჯები. 3) თხოვნა ქართულ ლატარიის გამგეობისა შეწყნარებულ იქმნეს და მიენდოს საბჭოსა და გამგეობას იზრუნონ ბილეთების შეძენის შესახებ 4) გამგეობის თავმჯდომარის ბ-ნ ი. დ. ფორაქაშვილის მოხსენების თანახმათ კრებამ ერთხმათ დაადგინა საზოგადოების ხარჯით გაგზავნილ იქმნეს საზღვარ-გარეთ ორი ახალგაზრდა შესაფერი მომზადებით მევენახეობისა და მეღვინეობის მეცნიერულათ შესასწავლათ.

ოვის ზარალის ანაზღაურება.

საფრანგეთის პარლამენტის საზავო კომისიამ ვერსალის თავმჯდომარეობით მოისმინა დუბუას მოხსენება გერმანიის მიერ მოყენებულ ზარალის ანაზღაურების გამო. დეპარტამენტის ზარალი, როგორც მოხსენებიდან გამოირკვა, 119 მილიარდ ფრანკს უდრის ეს რიცხვი გამოანგარიშებულია ექსპერტ-აგრონომების, მექარხნეების, არქიტექტორების და სხვათა მიერ. მიწადმოქმედების დარგში ზარალი 37 მილიარდს აღემატება.

სიზღვაო, სავაჭრო, კერძო პირთა ზარალი 43 მილიარდს უდრის საერთო რაოდენობა ზარალის ანაზღაურების თანხისა უდრის 200 მილიარდ მანეთს.

მეფე ფერდინანდის სამართალში მიცემა.

როგორც „Journal d'orient“-ი იუწყება ხუთთა საბჭომ გადასწყვიტა ბულგარეთის ყოფილი მეფე ფერდინანდი სამართალში მისცეს ხოლო მას 400 მილიონ გირვ სტერლინგს, რომელიც „County Bank Companie“-ში ჰქონდა შენახული, კონფისკაცია უქნას.

იტალიის დელეგაცია გრიუსელში

იტალიის საზავო დელეგაციის ცნობით, იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრი ტიტონი ოთხშაბათს სალაზოთი მიემგზავრება ბრიუსელში, სადაც ინახულებს ბელგიის მინისტრებს და ესაუბრება. ტიტონის თან გაჰყვება თავისი კანცელარიის უფროსი ემილიო პალონი. ტიტონი მომავალ ორშაბათს ამირებს დაბრუნებას.

ქრონიკა

→ **ფართლეულობა.** რესპუბლიკის მთავარ მომარაგების სამმართველომ უკვე დასდო ხელშეკრულება საზღვარგარეთელ „ფერუმის“ ფირმასთან დიდძალ ფართლეულ საქონლის მოწვდის შესახებ. ეს ფართლეული დანაწილდება ხაზოგადო დაწესებულებათა შორის და ნაწილი გაიგზავნება სოფლად ჰურზე გასაცვლელად.

→ **იტალიელი ექსპორტიორები.** მთავარ მომარაგების სამმართველოში დაიწყო დენა ბევრ იტალიელ ექსპორტიერებმა, რომელნიც ძალიან დაინტერესებულ არიან დაუახლოვონ იტალიის ბაზარი საქართველოს ბაზარს.

→ **ატენის მამული.** ქართულ სამუსიკო საზოგადოების თავმჯდომარე ვ. ი. რცხილაძე რომელიც გორის მაზრაში მდებარე ატენის მამულის დასათვალიერებლათ იყო გამგზავრებული დაბრუნდა. მამული მშვენიერ მდგომარეობაში იმყოფება.

→ **დანიშვნა** მიწად მოქმედების სამინისტროს მევენახეობისა და მეღვინეობის სპეციალისტათ დანიშნა კ. მ. ბერეკაშვილი.

→ **მოხავალი კახეთში.** კახეთიდან თბილისში დაბრუნდა მიწ.-მოქ. სამინ. სპეციალისტი ბ. ბერეკაშვილი და მოხსენება წარუდგინა მიწ.-მოქ. სამინისტროს. მისი აზრით კახეთში დიდი და კარგი მოსავალი მოდის ყურძნისა, თუმცა ზოგიერთა ვენახები ფწამლული დარჩა.

→ **მოხავალი ქართლში.** ქართლიდან თბილისში დაბრუნდა მიწათ-მოქ. სამინისტროს სპეციალისტი ბ. ბაგრამოვი და მოხსენება წარუდგინა სამინისტროს. მისი აზრით, ჰურის მოსავალს ქართლში მშვენიერი გამოსავალი აქვს. როგორც ურწყავს, ისე, მორწყულ ადგილებში. სიმინდის მოსავალიც კარგია. ვენახები ცოტათი დაზარალებულა, ვაზის მტრების მილდიუ ოიდიუმისაგან. ხილის მოსავალი საშუალოა. ფასები ხილზე აწეულია.

→ **კომიხია ხაცდელ ადგილებისა,** ამ დღეებში გაემგზავრა დასავლეთ-საქართველოში მიწ.-მოქმედების საგანგებო კომისია ბ ნთ რცხილაძის, ვეწაძის და ვასილიევის მეთაურობით, რომელიც დაათვალიერებს საცდელ დაწესებულებებს ამ გუბერნიისას და სხვათა შორის გამოარკვევს ყულაშის საცდელ მინდვრის გადმოტანის საკითხს ოჯამეთში.

→ **კონგრესი შევენახეთა და მეღვინეთა.** საქართველოს რესპუბლიკის შევენახეთა და მეღვინეთა პირველი კონგრესი, ნაცვლად 20 მარიამობისთვისა, შესდგება 1 ენკენისთვეს.

→ **ახალციხეკის ხოსტატო სემინარიაში** საჭირო 1 ენკენისთვიდან ორი მასწავლებელი—უმაღლეს განათლების ცენზით. ქართული ენის და მათემატიკის. მსურველები გამოგზავნიან თხოვნას გიმნაზიის დირექტორის სახელზე.

→ **მანუფაქტურა საქართველოსთვის.** შავ ზღვაზე კიდეც გამოვიდა და მოკლე ხანში ბათომში გადმოიცლება მანუფაქტურით დატვირთული რამდენიმე გემი საქართველოსთვის.

→ **ფართლეულობა და ფეხსაცმელი.** მთავარ მომარიგების სამმართველომ დაასრულა მუშაობა დიდ ხელშეკრულებაზე ფართლეულობის გამზადებულ ტანსაცმლისა, ფეხსაცმელისა და სხვა საჭირო საქონელზე სოფლის საჭიროებისათვის.

→ **იტალიის ბაზარი.** მთავარ მომარიგების სამმართველომ ფართე კავშირი დაიჭირა იტალიის ბაზართან და დიდი პერსპექტივები მოელის ამ მხრივ საქონლის გაცვლა-გამოცვლას. ამ მხრივ იტალიის სამმართველო სთვლის ყველაზე უკეთეს აგენტად, რომელიც საქონლის გაცვლაში ფრიად დაინტერესებულია.

→ **სიხლის სამართალში.** მკათათვის 31, სისხლის სამართლის მილიციის მოსამსახურეებმა აღმოაჩინეს სახლის პატრონ ნესტორ მერკვილაძის ბინაზე, წყნეთის ქუჩა № 12, მრავალი სხვა და სხვა საგნები, რომლებიც მან მოპარა თავის დგმურს ნინო ესიპოვას, როდესაც ის არ იყო ქ. თბილისში. ესიპოვას განცხადების თანახმად მან დაჰკარგა სულ 17,550 მან. საღირალი ქონება ამ რიცხვში 1 ნახ. ფუთი შაქარი და ნახ. ფუთი ფქვილი. როდესაც ის დაბრუნდა თბილისში იმავე დღეს შეამჩნია სახლის გაძარცვა და შეატყობინა მილიციას.

→ სისხლის სამართლის მილიციის მოსამსახურეებმა შეიპყრეს ლავრენტი ბარკალაია, რომელსაც ტახისამოსში ჩაკერებული ჰქონდა ორი ყალბი მოწმობა.

სამხატვრო ქრონიკა

გრიგოლ რობაქიძის პიესა. გრიგოლ რობაქიძემ დასწერა 1 მოქმედებიანი დრამა, რომელიც შინაარსით და ტექნიკით დიდ ინტერესს იწვევს. მოქმედება სწარმოებს წარმართულ კოლხიდაში რამდენიმე საუკუნით ადრე ქრისტემდე. დრამა წაკითხულ იქნება მწერალთა ინტიმურ წრეში და შემდეგ ქართულ მსახიობთა დასის მიერ წარმოდგენილ იქნება სახელმწიფო თეატრის სცენაზე.

„რუსული პორტრეტები“. იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა გრიგოლ რობაქიძის წიგნი რუსულ ენაზე: „რუსული პორტრეტები“.

ქართველ მწერალთა საღამო 23 მარიამობისთვეს, ახალ კლუბში ქართველ მწერალთა კავშირი მართავს გრანდიოზულ საღამოს. განზრახულია მოეწყოს აგრეედვე „მწერლის დღე“ ლიტერატურულ ფონდის გასაძლიერებლად.

ვაჟა-ფშაველას პოემა რუსულად. რუსის პოეტი სერგი რაფალოვიჩი გადაჰ-ფშაველას ერთ ერთ პოემას რუსულ ენაზე სარგებნის სცენისთვის. მხატვარი ს. სუდეიკინი პოემისათვის ახალ დეკორაციებს ხმატავს პოემას მუსიკაზე გადაიღებს კომპოზიტორი ა. ჩერეპნინი.

ხიმფონიური კონცერტი. მომავალ შაბათს ქართულ კლუბში ს. სტოლერმანი მართავს სიმფონიურ კონცერტს. პროგრამაში შედის ჩაიკოვსკის მე-6-ე სიმფონია, „ოჭროს მამალი“ რიმსკი-კორსაკოვისა, ხოლო ქ-ნ ალეშკოსი, (ორლეანელი ქალწული) ბენედიქტისა და სხ. ორკესტრი გადიდებულია 50 კაცით.

ბროვინსკის ცხოვრება

ქ. ახალციხე.

ქ. ახალციხის გიმნაზიაში სწავლა მომავალ ენკენისთვიდან დაიწყობა.

ქ. ჭიათურა.

ჭიათურაში წრეევანდელ სამოსწავლო წლიდან ახალი ტიპის საშუალო სკოლა გაიხსნება.

ქ. ახალსენაკი.

ქ. ახალსენაკში სოსტატო სემინარია დაარსდა.

ს. მცხეთა.

კვირას, 10 მარიამობისთვეს ს. მცხეთაში ადგილობრივ წიგნთ-საცავის სასარგებლოდ გაიმართა სალამოსეირნობა.

ქ. ახალქალაქი.

მაზრაში თაფლის მოსავალი დიდია.

ქ. გორი.

მთავრობის განკარგულებით მომავალ სამოსწავლო წლიდან გორის ვაჟთა გიმნაზიასთან არსებული რუსული განყოფილება აღარ იარსებებს; რუსი მასწავლებელნი წავიდ-წამოვიდნენ გორიდან; გადასახლდნენ ზოგი რუსეთს, ზოგი აზერბაიჯანში; ასე რომ გორში აღარ არსებობს აღარც ერთი სასწავლებელი, რომელიც რუსიფიკაციის მისიას ემსახურებოდეს; ყველა სასწავლებელი გაქართველებულია.

— ქალაქთა შორის ტელეფონის გამბმელი რაზმმა გორამდინაც მოაღწია; მავთულები გაბმულია და მალე გორს მიეცემა შეძლება საქართველოს სხვა ქალაქებთან ურთი-ერთობის დაპერისა ტელეფონით. სადგური მოთავსებული იქნება ქალაქის თვითმართველობის შენობაში; იმავე შენობაში ფიქრობენ მოთავსებას ადგილობრივ ტელეფონის ცენტრალურ სადგურის გადატანას, რომელიც აქამდე კერძო პირის სახლში არის მოთავსებული.

გორიდან ინგლისის ჯარის ევაკუაცია დაიწყო მარიამობისთვის 7; იგი გაგრძელდება ორ-სამ დღეს.

— ამჟამად გორის თვითმართველობის საბჭოს სარევიზიო კომისია ახდენს რევიზიას ქალაქის გამგეობის საქმეებისას.

— მომავალ სამოსწავლო წლიდან მოსალოდნელია რამდენიმე დაბალ პირველ დაწყებით სასწავლებლის გახსნა. აგრეთვე გამრავლებულ იქნება სახალხო სკოლები სოფლად.

გორის ადმინისტრაციის შესახებ

დამფუძნებელი კრების წევრს ალ. ასათიანს მოუტანდა მრავალი ცნობა გორის ადმინისტრაციის ზოგიერთ მეთაურის შექრთამვობისა და თვითნებურ მოღვაწეობის შესახებ. მისი წინადადებით მთავრობამ გორში გაგზავნა საქმის გამოსაძიებლად რესპუბლიკის ადმინისტრაციის ინსპექტორი ბ. ნი გეგელაშვილი, რომელმაც საქმის გამოძიების შემდეგ სამსახურიდან გადაყენა და სამართალში მისცა გორის კომისარის თანაშეწე ქუმარიტოვი. დანარჩენთა შესახებ გამოძიება გრძელდება. ყველა დაზარალებულთ ადმინისტრაციის მექრთამეობასა და უკანონო მოქმედებით შეუძლიანთ სათანადო საჩივრები და ჩვენება წარუდგინონ ადგილობრივ ერობის გამგეობას, გამოძიებელს და აგრეთვე დამფუძნებელი კრების წევრს ნაფიცი ვექილის თანაშ. ა. ასათიანს ქ. თბილისში საკუთ. ბინაზე ტერ-გუკასოვ. ქ. № 19.

სომხეთის მდგომარეობა

სომხეთის მდგომარეობა მეტად მწვავეა. ხმები ეჩმიაძინისა და ერევნის ევაკუაციის შესახებ ჯერ-ჯერობით არ მართლდება.

სარწმუნო ცნობების მიხედვით თათრებთან უკანასკნელ შეტაკების დროს მოკლულთა რიცხვი 15.000 ამდე აღწევს.

უკრაინის დელეგაცია პარიზში

უკრაინულ პრესის ცნობით ბიუროს ნოსერში, ვენიდან ატყობინებენ, რომ უკრაინის რესპუბლიკის დირექტორიამ უკანვე გაიწვია პარიზის საზავო კონფერენციაზე უკრაინულ დელეგაციის თავმჯდომარე სიღორენკო და მის ნაცვლად დანიშნა გრაფი მიხეილ ტიშეკევიჩი, უკრაინის ყოფილი წარმომადგენელი ვატიკანში.

ქალაქის საბჭოს სესტისტიკა

1918 წლის განმავლობაში შესდგა 43 სხდომა თბილისის ქალაქის საბჭოსი. 43 სხდომას უნდა დასწრებოდა (120,43— 5,160) ხმოსანი დაესწრო მხოლოდ 2,345 ხმოსანი, საშუალოდ თვითეულ სხდომას 54— ხმოსანი დაესწრო.

1918 წლის განმავლობაში ხმოსნობაზე უარი განაცხადა 26 ხმოსანმა.

120 ხმოსნიდან 26-ს არც ერთხელ სიტყვა არ წარმოუთქვამს საბჭოში, ბუთი ხმოსანი გამოდიოდა ყველა სხდომებზე.

ხუთი ხმოსანი დაესწრო ყველა სხდომას.

1918 წლის განმავლობაში საბჭოს სხდომებს დასჭირდა 146 საათი და 10 წუთი. თვითეული სხდომა გრძელდებოდა საშუალოდ 3 საათი და 24 წუთი.

1918 წ. საბჭომ განიხილა 461 მოხსენება, თვითეულ მოხსენების განხილვას საბჭომ მოანდომა საშუალოდ 18 წუთი და 2 წამი. განხილულ მოხსენებათა შორის იყო:

დახმარ. მიც. შესახებ .	64	მოხსენება
არჩევნები	34	„ „
შეკითხვები	27	„ „
განათლების საკითხი .	26	„ „
ხმოსნობაზე უარი . .	26	„ „
საავადმყ. შესახებ . .	24	„ „
ფინანსიური საკითხ. .	19	„ „
სურსათის	16	„ „

ოთხი სხდომა დაიბურა ხმოსნების ადრე წასვლის და ქვორუმის უქონლობის გამო.

შვიდი სხდომა არ შემდგარა.

სომხეთი

გილსონის გამცხადება.

როგორც „ნიუიორკ ჰერალდი“ იუწყება ამერიკის პრეზიდენტი ვილსონმა ამერიკას გამგზავრების წინ მიიღო ამერიკული პრესის წარმომადგენელნი და განუცხადა რომ იგი მიემგზავრება ამერიკაში საბრძოლოთ სასარგებლოთ პრაპაგანდის გაწევისათვის.

პოლკ. ჰასკელის თანამდებობა.

კილიკიის უმაღლესი მმართველი პრეფოს შემდეგი ოფიციალური წერილი გაუგზავნია ადანის სომეხთა ეროვნულ კავშირისთვის:

„ბერლუთიდან მიღებულ ცნობის თანახმად, პატივი მაქვს გაცნობოთ, რომ პოლკ. ჰასკელი დანიშნული „ოსმალეთის სომხურ ოლქების საგანგებო კომისრათ.

ეს დანიშვნა მომხდარა ამერიკის ინკლისის, საფრანგეთის და იტალიის სახელით“ („ჩაკარტამარტ“).

სომხეთის დელეგატები საზავო ხელშეკრულების მოწერის დროს

პარიზიდან იტყობინებიან, რომ გერმანიასთან მომხდარ საზავო ხელშეკრულების ხელმოწერის დროს იქ იმყოფებოდნენ როგორც მიწვეულნი სამხრეთის დელეგაციის ორი თავმჯდომარე პოლის ნუბარ ფაშა და ა. აჰარონიანი. („ნ. აშხ.“)

„ოსმალების“ ადგილას „სომეხი“

ბელგიის მთავრობას ოფიციალურად გამოუცხადებია, რომ ამას იქით სომხებს პიროვნების მოწმობის ქაღალდებში „ოსმალურის“ ადგილას დაწეროს „სომეხი“

ფერიდ ფაშის მოწყალება სომხებისთვის.

ოსმალეთის მთავრობას გამოუცია თავის ნოტის მეორე ნაწილი, საზავო კონფერენციისთვის. ამ ნოტის მეორე ნაწილში ფერიდ ფაშა სომხებისთვის შემდეგს წინადადებას იძლევა.

თუ ერევნის რესპუბლიკა აღიარეს მოკავშირეებმა ოსმალეთის დელეგაცია შესაძლებლათ სთვლის საზღვრების ერთი შესწორების იმ პირობით, რომ შეეთანხმოს ოსმალეთიც. ოსმალეთის მთავრობა პირდება ყველაფრივ დახმარება გაუწიოს ლტოლვილ სომხებს „კან დაბრუნების საქმეში“

(„ნ.-აშხატავორი“).

ხაფრთხე სომხეთის საზღვრებზე.

პარიზის სომხურ დელეგაციის თავმჯდომარე ნუბარ-ფაშას მიუღია ქალ. ურმიიდან შემდეგი დეპეშა:

„ქრისტიანების ჟლეტა მოსალოდნელია ურმიაში მყოფ ქალების და ყმაწვილებს ხიფათი მოელიან აისორების და სომხებისგან საჭიროა დაუღალავი დახმარება. დაგვიანება საბედისწერო იქნება. სომხების და აისორების წარმომადგენელნი ეპისკოპოსი ნერსესი და ლაზარ ელია“.

გენ. ნათიევის მოხსენება

ამას წინად ჩვენ გაზეთში დაიბეჭდა გენ. როზანოვსკის მოხსენება საქართველოს წინააღმდეგ მოქმედების შესახებ. ახლა ვბეჭდავთ გენ. ნათიევის მოხსენებას:

სამხრეთ-რუსეთის შეიარაღებულ ძალთა მთავარ-სარდალს.

არტილერიის გენ.-მაიორის ნათიევისა.

(1919 წ. აპრილი. № ....

მოხსენება

მოხალისეთა ჯარის ძლევა-მოსილმა ოპერაციებმა ჩრდილოეთ-კავკასიაში ბოლშევიზმის ბატონობა წელში გასტეხეს და ეხლა რუსული სამ-ფეროვანი დროშა არის აფრიალებული ეს. სადაც ამ ასი წლის წინად კავკასიის დასაპყრობად გმირული ბრძოლა დაიწყო.

ჩრდილოეთ-კავკასიის მთიელთა ტომები მორჩილებას უცხადებენ ერთიან რუსეთის იდეას ადგილობრივ „ტუზემნი“) სახეიდრო ნაწილების მოგზრავებას ბოლშევიზმის წინააღმდეგ შეერთებული მოქმედებისათვის.

სულ სხვა მდგომარეობაა კავკასიის მიმართ, რომელიც პოლიტიკური და ტოპოგრაფიული პირობების გამო თანდათან ჰბორდება ერთიან რუსეთის იდეას.

და ამ გზაზე ის მიჰყავს დემაგოგიურ და ჩეტად შოვინისტურ საქართველოს მთავრობას, რაშიაც მოხალისეთა ჯარის სამხედრო ჩარევა ჯერ შეუძლებელია.

საჭიროა მიღებულ იქმნეს სასწრაფო ზომები, რომ საქმის ასეთ მსვლელობას ბოლო მოეღოს. საქართველოს მთავრობა, ჩემ მიერ მიღებულ სარწმუნო ცნობების მიხედვით, მცხოვრებთა ფართო მასსაში სრულიად არ სარგებლობს ავტორიტეტით და მისმა შოვინისტურ იდეებმა მოაზხამა ჯერ-ჯერობით მეტად განსაზღვრული წრეები და მთელი მასსა (უმთავრესად კი ინტელიგენცია ოფიცრების მეთაურობით) ყოველ წუთს მზადაა ჩადგეს რუსეთის საერთო საქმისათვის მებრძოლთა რიგებში თუ მათ ამით შესაძლებლობას მისცემენ.

ამას ერთად ერთი შესაძლებლობა კი არის ამიერ კავკასიის საგანგებო „ტუზემნი“ კორპუსის შექმნა. ყველაზე სასურველი პიროვნებები ამისათვის სწორედ ეხლაა აჭარაში, ლაზის ტანში და აფხაზეთში, რომლებმაც თვითვე განაცხადეს, რომ ისინი საქართველოს მთავრობის პოლიტიკის მომხრენი არ არიან და გამოსთქვამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დნენ მტკიცე სურვილს, რომ ისინი ერთიანი რუსეთისთვის მებრძოლთა ჯაჭვებში ჩარიცხონ. სევასტოპოლში ჩემი ყოფნის დროს ჩემთან გამოცხადდნენ აჯარის წარმომადგენელნი პორუჩიკი ლალაევი და ჩხატუა და მითხოვეს რომ თავს მედო ორგანიზაცია რაზმისა, რომელიც 3000 კაცისაგან შესდგებოდა.

მე ამაზე მორიგ ჯენერალს შივწერე გენ. მაიორ ტრუხაჩევს.

მას დეპეშა გაეგზავნა და მეც კავშირი დავიჭირე ჩოხალისეთა ჯართან არსებულ ფინანსიურ ეკონომიურ თანაბირის იალტის განყოფილებასთან. მიწერ-მოწერა ეხებოდა განზრახულ ჯარის ფანანსიურად უზრუნველყოფის საკითხს. კომისიამ გენ. ბარათოვის თავმჯდომარეობით საჭიროდ სცნა დახმარების აღმოჩენა და შესდგა მხოლოდ იმიტომ, რომ იმ ხანად არ არსებობდა სამხრეთ რუსეთის მთავარ სარდლის დენიკინის საწქცია.

ყირიმის მოულოდნელ ევაკუაციამ ყოფილ მოკავშირეებისა შესწყვიტა ამ საქმის შემდეგი მსვლელობა და მხოლოდ აპრილის 3-ს მქონდა შეძლება „დობრ-არმიის“ შტაბის უფროსს გენ. ლეიტენანტ რომანოვსკის წავრსდგომოდი და სიტყვიერად მოშეხსენებინა განზრახული ჯარის მოკრების იდეაზე, ჩემი პროექტი შტაბის უფროსმა სრულიად თანაგრძნობით მიიღო და გენ. ლეიტენანტი რომანოვსკი დამშვიდა, რომ იშუამდგომლებდა თქვენ უმაღლესობასთან, შეკი წინადადება მომცა ამ კითხვაზე ვრცელი მოხსენება თქვენთვის წარმომედგინა.

ჩემ მოვალეობად ვსცნობ მოვახსენო თქვენ უმაღლესობას, რომ ეხლანდელი მომენტი ყველაზე მოსახერხებელია ჩოხალისეთა ჯარის ამიერ-კავკასიის „ტუზემნი“ კორპუსის შესადგენად, რადგან ქართული პოლიტიკის კურსი აშკარად გადიხარა ბოლშევიკებისაკენ.

უკმაყოფილოთა რიცხვი იქ იზრდება მაგრამ არა აქვთ შეკავშირების შეძლება და ჩვენის მხრით დახმარებას მოკლებული იძულებული იქნება ან დაფანტულად იბრძოლოს და ან სრულიად მიიჩქმალოს რასაც ალაგი აქვს ყველგან სადაც კი ბოლშევიზმი მძვინვარებს.

შავი ზღვის გუბერნია რომელიც იმყოფება მუდმივ აღელვების სფეროში არ წარმოადგენს მოსახერხებელ ადგილს ამ ნაწილების შშვიდობიან შესაკრებად. ინგლისის გავლენის ქვეშ მყოფი ბათომი დატრიპეზონის ოლქი კი მეტად ზიხერხებულია ამ საქმისათვის, რადგან უშუალოდ საქართველოს ეკვრიან. ინგლისის სარდლობა რომლისათვისაც ბოლშევიზმი სრულიად არ არის სახეირო ამ მხრივ უნდა დასთანხმდეს და მოხალისეთა ჯარისაწმთავარსარდლობასთან შეთანხმებით ალბად მოგვცემს ალნიშნულ ადგილს საჭირო ტერიტორიის ჯარის დასაგროვებლად. შესაძლებელია, რომ პირველად კორპუსი „ტუზემნი“ ბოლშევიკებთან ბრძოლაში მოინათლოს, რომელსაც ყავს კადრები ქართულ წითელ (არა რეგულიარ) ჯარის რიგებში და ამას უდიდესი მორალური მნიშვნელობა ექნება საქმის წარმოებისათვის, ჯარის შესაკრებად ძირითადი ნაწილი მოხალისეთა თანხიდან უნდა გადაიდოს და სასურველია კიდევ რომ უფლება გვქონდეს შემოწირულებათა შეკრებისა, რომ ამით შეავსოთ ის საჭიროება, რაც სამხედრო ნაწილის შეკრების დროს აუცილებელია.

პროპაგანდის განყოფილება განსაკუთრებით კარგად უნდა იყვეს მოწყობილი, რადგან ეხლანდელ დროში პროპაგანდა არაჩვეულებრივ ძლიერი ფაქტორია, თუ ის ხარჯებს არ ერიდება. ეს სჩანს ბოლშევიკების ორგანიზაციულ შუშაობაში. პირადმა ჩემმა გამოცდილებამ ბოლშევიკების წინააღმდეგ საბრძოლველად რაზმების მოწყობაში მაჩვენა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს აგიტაციისათვის თანხას.

ჩემ მიერ მიღებულ სარწმუნო წყაროების მიხედვით დიდ უმრავლესობას ქართველ ოფიცრებისას და სხვა ამიერ-კავკასიის ერთა ვერ გაუბედნიათ მოხალისეთა ჯარის სამფლობელოში გადმოსვლა, რადგან ყალბი ინფორმაცია აქვთ მათდამი მოპყრობის შესახებ. ჩემ მიერ განზრახული კორპუსის მოწყობა გამოარკვევს მთელ ამ ბალის ეჭვებს და ისინი იპოვნიან გზებს. რომ ისინი შევიდნენ თავის საუკუნოებრივ, მაგრამ დროებით დაკარგულ მებრძოლ ძმათა რიგებში.

კორპუსის ორგანიზაციას ეროვნული (ქართული, სომხური და თათრული) პოლკების შემადგენლობასთან ერთად მან უსათუოდ უნდა გაიმარჯოს და შეურაცყოფილი რუსეთი უნდა შეაერთოს ძალაუნებურ განდგომილებთან. რომელნიც დაყენებული არიან ამ გზაზე მოღალატე ხალხის მიერ.

მე ქართველი ვარ და ვიცი რომ ჩოხალისეთა ჯარის რიგში მრავალი ჩემი თანამეშამული, რომელნიც გაფანტული არიან „დობრ-არმიის“ ყველა ნაწილებში, მაგრამ მათი მუშაობა ამ დაქსაქულობის გამო შეუმჩნეველია და ხალხს ისეთ რეაბილიტაციას ვერ უზამს, როგორც ჩემ მიერ განზრახული კორპუსის მუშაობა, რის დაწყებაც თქვენ აღმატებულების ნებაზე ჰკიდია.

ჩემს განკარგულებაში იმყოფება სალაპარაკობს ერთ საგანზე და უეცრად გადახტება მეორეზედ, მაგ. მერვე გვერდზედ ლაპარაკი წერითი მრიცხველობაზე და უეცრივი გადახტომა ზეპირ მრიცხველობისაკენ, ან მეოთხე გვერდზედ სრულებით არ არის ლაპარაკი რიცხვების კლასებად დაყოფაზედ და უეცრად დაბეჭდილია კლასების ნუსხა. მათემატიკა ზედმიწევნითი მეცნიერებაა და ასეთი გადახტომ-გადმოხტომა მას არ უხდება. წიგნში თავები პარაგრაფებად არ არის დაყოფილი, ასე ჭგონია, არითმეტიკის სახელმძღვანელო კი არა, რომანი რაშე იყოს.

სახელმძღვანელო იწყობა მრიცხველობის განმარტებით. აქ ავტორი სცდილობს განმარტოს თუ რა არის რიცხვი. მისის აზრით რიცხვი ერთგვარი საგნების თვლის შედეგია. მაგრამ განა შეიძლება ასეთი განმარტება მივსცეთ რიცხვს? რიცხვი განა მარტო თვლის შედეგია? იგი გაზომვის შედეგიც არის. საზოგადოთ კი თანამედროვე მეცნიერებაში უარყოფილია რიცხვის განმარტება, რიცხვი იმისთანა ცნებაა. რომლის განმარტებაც შეუძლებელია. რიცხვებს ავტორი ჰყოფს **მთელ** რიცხვებად და **ნაწილადურ** (ნაწევროვან) რიცხვებად. ნაწევროვან რიცხვს ასე ხსნის: „თუ პური რამდენსამე ნაწილად გავყავით და ავიღებთ რამდენსამე ნაწილს—მივიღებთ ნაწილადურ რიცხვს“. განა ეს ახსნა ჭეშმარიტებას შეეფერება? პურის ნატეხი არ არის ნაწევარი, ნაწევრის მისაღებად საჭიროა პური რამედენიმე **თანასწორ** ნაწილად გავყოთ. რიცხვის და ციფრის ახსნის დროს ავტორი უეცრად გადახტება რალაც პირობებზედ, რომ პირველ ადგილას უნდა ერთეულები დავსხათ, მეორე ადგილას ათეულები და სხვა და უცაბედად მოჰყავს კლასების ნუსხა. არც ახსნა, არც განმარტება. აქ კლასების ნუსხა საჭირო არ იყო: ის წერვით აღრიცხვის დროს დაგვჭირდებოდა, აქ რახან მოიყვანა ეს ნუსხა, ავტორი უნდა განემარტა მაინც. ამის გარდა პირობა პირველ ადგილას ერთეულები, მეორე ადგილას ათეულები და სხვა, აქ რა არის პირველი ადგილი, რა არის მეორე ადგილი, საჭირო იყო ისტორიული ცნობანი მოგვყვანა ავტორს ციფრირებისა, და მაშინ გასაგები იქნებოდა, თუ მარჯვნიდან მარცხნივ რად უნდა გსთვალოთ ციფრების წერის დროს. არაბულ ციფრების გარდა ავტორს უნდა მოეყვანა რომაული ციფრებიც, რადგანაც ჩვენ რომაულ ციფრებსაც ვხმარობთ.

ზეპირ მრიცხველობას ავტორი ასე განმარტავს: „ზემოხსენებული თვრამეტი სიტყვა რომ შეეისწავლოთ შეგვეძლება სიქსილიონამდე ზეპირად თვლა, რომელიც შეადგენს ზეპირ მრიცხველობას“ (გვ. 7). ეს რა ზეპირ-მრიცხველობის განმარტებაა?! თვით მრიცხველობა კი ესეა განმარტებული: წერა-კითხვა რიცხვებისა არის მრიცხველობა ანუ ნუმერაცია“ (გვ. 11). წერითი მრიცხველობა კი საბედნიეროდ არ არის სრულებით განმარტებული. ზეპირ-მრიცხველობის ახსნა თორმეტ სტრიქონშია მოთავსებული, აქ სრულებით არ არის ლაპარაკი იმაზედ, თუ როგორია ჩვენი ზეპირ-მრიცხველობა, ათეულოვანი ი. ი. ეგ. თუ ოცეულოვანი, ან კიდევ როგორი შეიძლება იყოს იგი სხვა და სხვა ხალხთა შორის ორეულოვანი, ხუთეულოვანი, თორმეტეულოვანი), ან რა მიზეზია, რომ თითქმის ყველა ხალხს ათეულოვანი ზეპირ-მრიცხველობა აქვთ, და ზოგ ხალხის ზეპირ-მრიცხველობაში გამოკრთის ოცეულოვანი სისტემის ნაშთი.

წერით მრიცხველობას სახელმძღვანელოში უჭირავს ხუთი გვერდი, მაგრამ არც აქ არის ნაილად ახსნილ-განმარტებული წერითი-მრიცხველობის ათეულოვანი სისტემა. აქ ხულ იმაზეა ლაპარაკი, თუ როგორ უნდა დავწეროთ ან წავიკითხოთ რიცხვი ქართველებმა იმ გარემოების გამო, რომ ჩვენ ვთვლით ოცეულობით და ვწერავთ კი ათეულობით. მთელი ხუთი გვერდი აშაზეა ლაპარაკი. მერე იმისთანა წესია შედგენილი, რომ ათასჯერ ადვილია ოცეულების დაწერვა ათეულოვანი სისტემით, ვიდრე ამ წესების გაგებ-დასომება.

ამისთანა შესავლის შემდეგ სახელმძღვანელო გადადის ოთხ-მოქმედების განმარტება-ახსნაზედ. აქაც საშინელი გადახტომა-გადმოხტომაა. მაგ. შეკრების დროს ავტორი გვიხსნის: „მოქმედებას, რომლის საშუალებითაც რამდენსამე რიცხვით მიიღებენ ახალ სხვა რიცხვს, ჰქვიან არითმეტიკული მოქმედება. არითმეტიკა არის სწავლა რიცხვებისა“ (გვ. 12), ან ამისთანა ცოდნას გვაწვდის: „ნაკრებ (ჯამი) და შესაკრებთ შორის ნიშანს ჰქვიან თანასწორობის ნიშანი და გამოიხატება ასე: =(გვ. 13). ასე ჭკვნია კაცს, იაყოფის ან გამრავლების დროს სხვა რაიმე ნიშანი იხმარებოდეს.

შეკრება სრულებით არ არის განმარტებული. ერთ-ნიშნოვან რიცხვს რომ უმატებს ორ ნიშნოვანს, ავტორი ტყუილად ირჯება და უწერს ერთ რიცხვს მეორეს; მაგ. 48+7 (გვ. 13) აქ ჩვენ ჯერ შვიდს კი არ ვუმატებთ 2, შემდეგ კი 5. ესე ხდება ეს მიმატება.

გამოკლება ავტორს ესმის მხოლოდ როგორც შეფარდება: რამდენით არის ერთი რიცხვი მეორეზედ მეტი (გვ. 14) და მისი აზრით, ნაშთი და განსხვავება (სხვაობა) ერთი და იგივე ცნებანი არიან. გამოკლების შემდეგ მთელ სამ გვერდ ნახევარზე აწერილია რუსული საანგარიშო (საოვალავი). რა საჭირო იყო ამოდენა წერვა რუსულ საოვალავზე. შეეძლო რუსული საოვალავის სურათი დაესტამბა და აეხსნა, რომ რუსული საოვალეიც ათეულოვან სისტემაზეა აგებული. მორჩა და გათავდა. მიმატებ გამოკლება ამ საოვალავზედ ისე სწარმოებს. როგორც ქალალდზედ.

გამრავლება ანუ მრავლება (ავტორი ორივე სიტყვასა ხმარობს. რაც ჩემის აზრით საჭირო არ არის) ავტორის აზრით „არის ისეთი არითმეტიკული მოქმედება, რომლის საშუალებით ერთი მოცემული რიცხვი განმეორდება იმდენჯერ, რამდენიც ერთეულია მეორე მოცემულ რიცხვში (გვ 22) ჩვენ შეგვიძლიან ერთი რიცხვი შესაკრებადაც გავიმეოროდ და თანამრავლადაც მაგ. 8+8+8, ამისთვის ასეთი განმარტება გამრავლებისა სწორე არ არის. ხარისხი ვერ არის მკაფიოთ და სწორედ ახსნილი. გამრავლების შემდეგ ავტორი სვამს კითხვას, რისთვის შევისწავლეთ მრავლებაო, და ამის საპასუხოდ სამი უბრალო ამოცანა მოჰყავს გამრავლებაზედ. ნუ თუ ამ სამი უბადრუკ ამოცანისთვის ღირდა გამრავლების შესწავლა?

გაყოფა განმარტებულია ასე. „გაყოფას უწოდებენ არითმეტიკულ მოქმედებას, რომლის საშუალებით ჰყოფენ ერთ რომელსამე რიცხვს რამდენსამე ნაწილად ან იგებენ, რამდენჯერ მეტია ერთი რიცხვი მეორეზედ.“ (გვ. 33). განმარტებაც ასეთი უნდა; გაყოფა არის გაყოფა, არავითარი სხვა განმარტება ავტორს არ მოჰყავს. თვით გაყოფის წესების ახსნა განმარტება ძალიან მძიმეა და ბუნდოვანი. გაყოფაში ავტორიც უნდა, კოჭლობდეს მაგ. იგი 38500:100, ჰკვეცს ნოლებს, იღებს 385 ასეულს გაყოფილს 10 ასეულზედ და გამოდის 38 და ნაშთი კი 5, მაშინ როცა ნაშთი ეთანასწორება არა 5, არამედ 500 (გვ. 40).

საზოგადოთ ოთხივე მოქმედების ახსნა განმარტების დროს ავტორი გადამეტებულ ენა წყლიანობას იჩენს. მაგრამ ეს ენა წყლიანობა მამართულია არა იქითკენ რომ მარტივ ჰყოს მოქმედებათა წესები, არამედ მარტივ მაგალითებსაც ეს გადაჭარბებული ენა წყლიანობა აბუნდოვნებს.

ოთხი მოქმედების შემდეგ იწყობა სახელდებული რიცხვები. აქ არის ახსნილი რომ ყოველივე სიდიდის გასაზომათ საჭიროა საზომის ერთეული, რომელსაც უნდა შევადაროთ გასაზომად მოცემული სიდიდე; არ არის აქ ჩამოთვლილი, თუ რა და რა სიდიდეენი გვხვდებიან ხშირად ჩვენს ცხოვრებაში. სიდიდის გაზომვა სახელმძღვანელოში ესეა ახსნილი: „გაზომვა რომელისამე ოდენობისა არის დატოლება მიღებულ ზომისა ამა თუ იმ ოდენობასთან. როცა სიგრძის ზომას ვიგებთ, ე. ი., ვატოლებთ ზომის ერთეულს გასაზომად ამა თუ იმ სიგრძეს, მაშინ ვამბობთ „ვზომავთო“, როცა წონის ზომის ერთეულს ვატოლებთ საგნის წონას, მაშინ ვამბობთ „იწონავთო“, როცა ფულის ზომის ერთეულს ვატოლებთ ძოცემულ ფულს მაშინ ვამბობთ "ვთლიეთო" და სხვა. გაზომვა არის გამოანგარიშება იმისი, თუ რამდენი ზომაა ამა თუ იმ ოდენობაში“ (გვ. 46) მოდი და ამ ამონაწერიდან კაცმა გაიგოს რა არის გაზომვა. განა ავტორმა არ იცის რომ აწონვის დროს ჩვენ წონის ერთეულს მაგ. გირვანქას კი არ ვატოლებთ ასაწონად მოცემულ საგანს, მაგ. ვაშლს, ან ფულის თვლის დროს რომელ ფულის ერთეულს ვატოლებთ დასათვლელად მოცემულ ფულს?

მე იმას არ გამოუდგები თუ რამდენად სწორია, როცა ავტორი площадь-ს ფორეს უწოდებენ. ფორე უდრის „ფორუმს“ და ნიშნავს მოედანს, მაგრამ ქართულ ენაზედ წამოყენებული площадь-ის სახელწოდებანი არც ერთი არ არის ხეირიანი, არც ფორე ვარგა, არც არე, მე „ფორეს“ მაგივრად „ვაკეობას“ ვიხმარებ. ვაკეობათა გაზომვის დროს კვადრატიული ზომები იხმარებიან. ავტორის აზრით, თუ გვსურს გავიგოთ, „თუ რა შეფარდება სუფევს ორ უმახლობელეს კვადრატიულ ზომის ერთეულებ შორის, უნდა გავიხსენოთ ხოლმე რა შეფარდებაა ამ ორ

ბიბლიოგრაფია

არითმეტიკის სახელმძღვანელო ხრულ კურსი უმაღლეს დაწყებითი და საშუალო სასწავლებლის პირველი, მეორე და მესამე კლასისა.—შედგენილი თბილისის გიმნაზიის დირექტორის მ. ე. ზაალიშვილის მიერ. ქუთაისი 1919 წ, მთავრიშვილის ამხანაგობის გამოცემა. ფასი 10 მანეთი.

ბ-ნი ზაალიშვილი დაულალავი მუშაკია ქართულ სახელმძღვანელო წიგნების შედგენაში. საბუნებისმეტყველო დარგიდან მან მთელი რიგი სახელმძღვანელოებისა გამოუშვა, რომელნიც იხმარებიან ჩვენ დაბალ თუ საშუალო სკოლაში. ამ მხრივ ბ-ნ ზაალიშვილის ღვაწლი დაუფასებელია, მაგრამ ხომ გაგიგიათ ქართული ანდაზა: „კოკა მუდამ წყალს ვერ მოიტანსო“, სწორეა ასეთი საქმე დაემართა ბ-ნ ზაალიშვილს ზემო აღნიშნულ სახელმძღვანელოს გამოცემაში. ყოველივე სახელმძღვანელოს შემდგენელმა მშვენივრად უნდა იცოდეს ის დარგი მეცნიერებისა, რომლიდანაც იგი სახელმძღვანელოს სწერს, მან უნდა იცოდეს არა მარტო საგანი, არამედ თვით ისტორია და ფილოსოფიაც კი ამ საგნისა. არითმეტიკის სახელმძღვანელოს დამწერმა საკმარისი არ არის რომ იცოდეს მარტო სხვა და სხვა პრაქტიკული წესები გამოანგარიშებისა, მან უნდა იცოდეს მთელი მათემათიკა, ისტორია მათემათიკისა, კერძოთ კი არითმეტიკის დებულებათა განვითარების ისტორია. ცოდნა მათემათიკისა ლამპარივით გზას გაუნათებს არითმეტიკის სახელმძღვანელოს შემდგენელს და იხსნის მას გზა აბნეულად ხეტიალისაგან. სწორედ ეს გზა აბნეულად ხეტიალი წარმოგიდგებათ თვალწინ, როცა თქვენ ზაალიშვილის არითმეტიკის სახელმძღვანელოს გულდასმით გადაათვალიერებთ: წარავითარი გეგმა, არავითარი წესი მასალის დალაგება-დაწყობაში შიგ არ არსებობს.

ტორა უნდა განემარტა მაინც. ამის გარდა პირობა პირველ ადგილას ერთეულები, მეორე ადგილას ათეულები და სხვა, აქ რა არის პირველი ადგილი, რა არის მეორე ადგილი, საჭირო იყო ისტორიული ცნობანი მოგვყვანა ავტორს ციფრირებისა, და მაშინ გასაგები იქნებოდა, თუ მარჯვნიდან მარცხნივ რად უნდა გსთვალოთ ციფრების წერის დროს. არაბულ ციფრების გარდა ავტორს უნდა მოეყვანა რომაული ციფრებიც, რადგანაც ჩვენ რომაულ ციფრებსაც ვხმარობთ.

ზეპირ მრიცხველობას ავტორი ასე განმარტავს: „ზემოხსენებული თვრამეტი სიტყვა რომ შეეისწავლოთ შეგვეძლება სიქსილიონამდე ზეპირად თვლა, რომელიც შეადგენს ზეპირ მრიცხველობას“ (გვ. 7). ეს რა ზეპირ-მრიცხველობის განმარტებაა?! თვით მრიცხველობა კი ესეა განმარტებული: წერა-კითხვა რიცხვებისა არის მრიცხველობა ანუ ნუმერაცია“ (გვ. 11). წერითი მრიცხველობა კი საბედნიეროდ არ არის სრულებით განმარტებული. ზეპირ-მრიცხველობის ახსნა თორმეტ სტრიქონშია მოთავსებული, აქ სრულებით არ არის ლაპარაკი იმაზედ, თუ როგორია ჩვენი ზეპირ-მრიცხველობა, ათეულოვანი ი. ი. ეგ. თუ ოცეულოვანი, ან კიდევ როგორი შეიძლება იყოს იგი სხვა და სხვა ხალხთა შორის ორეულოვანი, ხუთეულოვანი, თორმეტეულოვანი), ან რა მიზეზია, რომ თითქმის ყველა ხალხს ათეულოვანი ზეპირ-მრიცხველობა აქვთ, და ზოგ ხალხის ზეპირ-მრიცხველობაში გამოკრთის ოცეულოვანი სისტემის ნაშთი.

წერით მრიცხველობას სახელმძღვანელოში უჭირავს ხუთი გვერდი, მაგრამ არც აქ არის ნაილად ახსნილ-განმარტებული წერითი-მრიცხველობის ათეულოვანი სისტემა. აქ ხულ იმაზეა ლაპარაკი, თუ როგორ უნდა დავწეროთ ან წავიკითხოთ რიცხვი ქართველებმა იმ გარემოების გამო, რომ ჩვენ

დეპეშები

(ხაქ. დეპეშ. სააგენტო)

მარიამობისთვის 11-ს.

ბოლშევიკური ცნობები.

მოსკოვი, აგვისტოს 10. ც. ა. კ. ბ ბ. ბიულეტენი.

სამხედრო ცნობა.

ჩრდილოეთის ფრონტი. ტბების რაიონში მურმანისკენ, სანდატს ტბის აღმოს. ნაპირზე ბრძოლაა.

დასავლეთის ფრონტი. კორელის ყელზე ბელოსტროვის რაიონში მოწინააღმდეგემ ჩვენ ჯარს თავწაკრილი ტყვიები დაუშინა. ნარვისკენ ჩვენმა ჯარმა მდ. ლუგაში ჯავშნიანი ავტომობილები გაიტანა და 2 ვერსის მანძილზე რაზდენიმე სოფ ლი აიღო. აგვისტოს 8 ბრძოლით დავტოვეთ ქ. მინსკი. სინიავკას მიმართულებით მტერმა ჩვენ ჯარს ქ. სინიავკას აღმოსავლეთით 25 ვერსის მანძილზე დაახეეინა.

სამხრეთის ფრონტი. ბოლტავის ჩრდილოეთით 35 ვერსის მანძილზე და შირგოროდდან 30 ვერსზე ბრძოლაა. ბოგოდუხოვის მიმართ. მოწინააღმდეგემ ჩვენ ჯარს ახტირკა და სად. სმოროდინა დაატოვებინა. სუჯა-ბელგოროდის მიმართ. სადგ. გოტნია დავტოვეთ. ბავლ ივისკენ მდ. ბიტიუგზე, ბობროვის სიმხრეთით 40 ვერსზე ბრძოლაა. კოლაჩის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა სად. ტოლკაია დაიჭირა. კამიშინის ჩრდილო-დასავლეთით 100 ვერს. მანძილზე ბრძოლაა.

აღმოსავლეთის ფრონტი. პეტროვის მიმართ. ჩვენმა ჯარმა 10 ვერსით დაიხია. ურალსკის სამხრეთით 100 ვერს. მანძილზე სოფლები ავიღეთ. ორენბურგ-სტერლიტამაკისკენ ჩვენი ჯარი მარჯვე წინსვლას განაგრძობს და ბუგულჩანის საზრეთ – აღმოსავლეთით უკვე 45 ვერს. გავიდა. აქ ჩვენ მხარეზე 125 ყაზახი გადმოვიდა, ცხენებით, ტყვიისმფქვეველებით და სხ. იარაღით. ჩელიაბინსკს ჩვენი ჯარი 110 ვერსით გასცილდა. შადრინის რაიონში ჩვენი ჯარი მდ. მიასისა და ისეტის ველზე გავიდა და 200 ტყვე წამოიყვანა. ტურინსკის რაიონში აგვისტოს 8 ქ. ტიუმენი ავიღეთ..

წითელ არმიელების დასაფლავება.

უფა. აგვ. 6 ძმათა სასაფლავოზე დაკრძალეს თეთრების მიერ უკან დახევის დროს დახოცილ წითელ არმიელების გვამები. დაკრძალვაში 200.000 კაცი იღებდა მონაწილეობას.

სამხედრო ცნობა.

№-ის არმიის შტაბი. აგვისტოს 5. ეკატერინბურგში თეთრების მიერ დატოვებული ბურის აღრიცხვა ხდება. ციმბირში გაქცეულ ვაჭრების მიერ თავგანებებულ სავაჭროებში დატოვებული საქონელი კოოპერატივებს გადაეცა. შემოიღეს საბარათო სისტემა. საგუბერნიო სასურსათო კომიტეტები უკვე მოქმედობს, სამაზრო კომიტეტები მალე გაიხსნება. ქალაქში შაქარი არ არის სხვა საქონელი ბევრია.

ბოლშევიკური ცნობები

წითელი აფიცრები.

კოზოტოპი, აგვ. 2 ხარკოვის ოფიცერთა კურს-გათავებულები უკვე გამოუშვეს წითელ ოფიცრებად.

აჯანყება ციმბირში.

ეკატერინობურგი. აგვ. 4. ციმბირიდან გამოჭეულები ადასტურებენ, რომ პარტიზანულ აჯანყებებს ადგილი ჰქონია ციმბირში. ციმბირის ზოგიერთ ადგილებში ოპოზიციონურად განწყობილ ინტელიგენტთა რიცხვი იზრდება. ურალის ქარხნების მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. მანქანები ხელუხლებელია, ოუჯით და სხვა მადანიც მრავალია.

სამხედრო ცნობა, 9 აგვ. **ჩრდილოეთის ფრონტი.** მეეზერნის რაიონში, ეურმანის მიმართულებით ჩვენი ჯარი შეტევაზე გადავიდა. ჰეტროზავი დასკის მიმართულებით ჩვენ ბრძოლით სამოზეროს რაიონში ჩვენ სოფლები დავიჭირეთ. ხელში ჩავიგდეთ ტყვიისმფრქვეველები და ტყვეები წამოვიყვანეთ.

დასავლეთის ფრონტი. ბსკოვის რაიონში ჩვენი ჯარი შეტევას განაგრძობს. პროხოვის ჩრდილო-დასავლეთით სოფელი დავიჭირეთ. მინსკის რაიონში მტერმა გვაიძულა ახალი პოზიციებისაკენ დაგვეხია. მოლოდეჩნოს მიმართულებით ჩვენ იზიასლავლა დავსტოვეთ. ბარანოვიჩის მიმართულებით ჩვენი ჯარი იბრძვის.

სამხრეთის ფრონტი. სად. სევერინოვკასთან მტრის ჯავშნიანი მატარებელი დავამარცხეთ.

აღმოსავ. ფრონტი. ჩელიაბინსკის რაიონში სადგ. ჩისტეს შერეედიანზე გამოვედით და მტრის ჯავშნიანი მატარებელს გზა გადაუჭერით.

„აჯანყებული ჩარჩები“.

კიევი, აგვ. 8. თავდაცვის საბჭო შეეგზავნა ვოროშილოვი, რომელიც აჯანყებულ ჩარჩების წინააღმდეგ საბრძოლველად მთელი შეიარაღებული ძალების მთავარ-სარდლად დაინიშნა.

სარატოვი განსაცდელშია

სარატოვი, აგვ. 4. რ. კ. პარტიის სარატოვის ორგანიზაციის საერთო კრებაზე, ამხანაგის სიტყვის შემდეგ რომელიც სარატოვის დასაცავად მოუწოდებდა და სხვა ორატორების სიტყვების მიიღეს რეზოლიუცია, სადაც ნათქვამია, რომ აუცილებელია ქალაქი რევოლიუციონურ ძალების ფეხზე დაყენება, და მუშების გამოწვევა გადამწყვეტ ბრძოლისთვის.

მდგომარეობა ბუნგრეთში

მოსკოვი, აგვ. 9. მიღებული ცნობების თანახმად, ერეკერეოგ იოსებმა განაცხადა, რომ ის შზად არის ბუდაპეშტში მოკავშირეთა მისიასთან მოლაპარაკება დაიწყოს. პირველ ყოვლისა ყოფილი ყოფილთ მოაგროვეს და 8000 კაცისაგან შემდგარი მოხალისეთა რაზმი მოამზადეს. ყოფილ მინისტრები გადაყენეს, დროებით დაპატიმრეა, მაგრამ შემდეგ გამოუშვეს. რუმინიის ჯარის სარდლობა, რომელსაც მღელვარების ეშინოდა, უბრძანა, რუმინიის გარნიზონს, შზად იყოს. მისიების ყველა უფროსებმა ახალ მთავრობას განუცხადეს, რომ ისინი მას მხარს დაუჭერენ. ერეკერეოგი იოსები სასახლეში სცხოვრობს. უნგრეთის სასურსათო მინისტრად ატლანტიის სანავოსნო საზოგადოების მთავარი დირექტორი ევგენი პოლნაი დაინიშნა. ვენაში მყოფი ბუნგრეთის ელჩმა ყველა საიდუმლო საბუთები დასწვა და ავტომობილით ლამე გაიპარა. მეორე დღეს საელჩოში ბუნგრეთის ჟურნალისტები და ოფიცრები მივიდნენ საელჩოს მოსამსახურეებს სცემეს და სახლიდან გაგზავნეს.

შეტაკება ტრიესტში.

ბაუენი, აგვ: 9. ტრიესტში მუშებსა და იტალიის ჯარის შორის შეტაკება მოხდა. დაჭრილთა და დახოცილთა რიცხვი ჯერ არ გამორკვეულა. იტალიის მთავრობამ მრავალი დააპატიმრა.

რუმინიის ჯარი ბუდაპეშტში.

ბაუენი, აგვ. 9. ბუდაპეშტში 70,000 რუმინიის ჯარისკაცი შევიდა.

ვენა, აგვ. 5 ხმებია, რომ თითქოს სლეგედინის მთავრობამ ბუნგრეთის გვირგვინი შეფე ფერდინანდს შესთავაზა.

ქვანახშირის უქონლობა გერმანიაში.

ბაუენი, აგვ. 9. გერმანიაში ქვანახშირის უქონლობის გამო მთელი რიგი მატარებლებისა გააუქმეს. სამგზავრო მატარებლებში ძალიან შეამცირეს რესტორანი-ვაგონები და დასაძინებელი ვაგონები.

ბიწების სიმცირე ბერლინში.

ბაუენი, აგვ. 8. ბერლინში ბინების სიმცირის გამო ეხლა დიდი სიფრთხილით სარგებლობენ შენობებით. ყოფილ ახალშენების სამინისტროს შენობა კერძო პირთ გადაეცა.

სამხედრო ცნობა.

№-ის არმიის შტაბი. პსკოვის ჩრდილო-აღმოსავლეთით მკაცრი ბრძოლა იყო. მტერი ბრძოლის დროს თავწაკრილ ტყვიებს ხმარობდა. ჩვენმა ჯარმა მტრის კონტრ-იერიშები მოიგერია, წინ წაიწია და რაზოდენიმე სოფელი დაიჭირა. პსკოვის რაიონის დანარჩენ ადგილებში მზვერავები მოქმედებენ. დვინის რაიონში მტრის შეტევა მოვიგერიეთ.

თეთრები ბუგორიზში.

ხამარა, აგვ 9. ბუგორიზში ყოფნის დროს თეთრებმა დაარბიეს საბჭოები, გაძარცვეს მცხოვრებლები და კოოპერატივები. ერთი კომუნისტი ცოცხლად დასწვეს. ზოგი დახვრიტეს, ზოგიც დაალრჩეს. ამ ჟამათ საბჭოთა მთავრობა ისევ ახლდება.

ციმბირის საქმეთა კომისია.

მოსკოვი, აგვ. 9. აღმოსავლეთის ფრონტზე ჩვენი გამარჯვების გამო სახალხო კომისართა საბჭომ ციმბირის საქმეებისთვის კომისია დაარსა.

კოლჩაკის მხხვერპლი.

ეკატერინებურგი აგვ. 4. კოლჩაკის მიერ ნაწამებ და დახვრეტილთა რეგისტრაციას ახდენენ. დაღუპულია ათასობით. ყოველ დღე ბოულობენ ახალ გვამებს

ასტრახანთან.

ხამარა, აგვ. 7. ასტრახანის რაიონში უკანასკნელ ბრძოლის დროს ჩვენს მხარეზე გადმოვიდა მტრის შეიარაღებული რაზმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიონი, აგვისტ. 7. როგორც სჩანს კონფერენციას არავითარი ზომები არ მიუღია, რომ რუმინიის ჯარს ბუდაპეშტი დაუტოვებია.

უკრაინის სამხედრო ცხოვრება. სარნის მიმართულებით სიწყნარეა. ლუცკის მიმართ. მდგომარეობა არ შეცვლილა. რაძივილოვის მიმართ. ჩვენი ჯარი მდ. გორინისაკენ იხევს. ეშერინკის მიმართ. მტერი მოვიგერიეთ. დნესტრის რაიონში მტერს აქტივობა არ ეტყობა. ოჩაკოვის რაიონში წინასწარ დაზვერის შემდეგ მოწინააღმდეგე ლიმანში შემოვიდა. საათ ნახევარში ქალაქში 500 ყუმბარა ჩამოაგდეს. ქალაქში მრავალი სახლი დაინგრა. მტრის გემები სტანისლავს ეს როდენ. ოდესის ჩრდილო-აღმოსავლეთით ბრბომ გზა გაიფუჭა და მახლობელი სოფლები დაიჭირა. მიროვის რაიონში მტრის იერიშები მოვიგერიეთ. ჩუმაკის რაიონში ჩვენ მტერი გვავიწროვებს და უკან ვიხევთ.

რუსეთის შინაური ფრონტი.

პრილუკის და კალინოვკის რაიონში ბროვებს ვანადგურებთ. ტარაშჩენის მაზრაში ზელიონის ბრბოს საბოლოოდ ვანადგურებთ. იაბლონოვკის და ციბბალოვკის რაიონებში მომქმედი ბრბო დავამარცხეთ.

კიევი. აგვ. 7. უკრაინის ესერების კომუნისტების დამოუკიდებელ სოც.-დემოკრატების და მემარცხენეთა პარტიათა ცენტრ. კომიტეტის შეერთებულ სხდომაზე ყველა საგუბერნიო საძალაქო სამაზრო ორგანიზაციებს მოწერილობა გაუგზავნეს, რომ დაუყოვნებლივ დაიწყონ წინასწარი მუშაობა ამ პარტიების შეერთების ცხოვრებაში ფაქტიურად გასატარებლად. ეკატერინოსლავის მიმართულებით ბრძოლაა. მოვიდა შეუმოწმებელი ცნობები, რომ ვერხნე დნეპროვსკი ისევ დავიბრუნეთ. პოლტავის რაიონში არსებითი ცვლილება არ მოხდარა. ზოგიერთ ადგილებში ჩვენ უკან დავიხიეთ. დასავლეთით მტრის შეტევა შესუსტდა არის იმედი, რომ მოკლე ხანში მტრის წინსვლას დასავლეთის მიმართ. საბოლოოდ დავამარცხებთ.

მოსკოვი, აგვისტოს 8. ც ა. კ. ბ. ბ. ბიულეტენი

კოზლოვი. აგვისტოს 6. ჩვენ მხარეზე გადმოსულთა სიტყვით უსტ-მედვედიცკის ოლქში თათრების ძალადობის გამო აჯანყება მოხდა. ყაზახები სულიერად დაეცნენ. ლუგანსკში მუშების მობილიზაცია ცუდად ჩატარდა. კლეტსკაიასა და კონნაიას რაიონში მინდვრებში მუშაობის გამო მობილიზაციაზე ყაზახები არ გამოცხადდნენ. სტანიცა მიხაილოვკას რაიონში 3,000 ჯარში გაწვეულმა უარი

სიგრძის ზომების ერთეულებ შორის და შემდეგ **გავიორკეცოთ**". (გვ. 49) კუბიკურ ზომების ერთეულებისათვის კი უნდა სიგრძის ზომები **გავიამკეცოთ** (გვ. 51) ასე ესმის ავტორს სიგრძის ზომების ერთეულების კვადრატად ან კუბად აყვანა. გაორკეცება ან გასამკეცება გამრავლებაა ორზედ ან სამზედ, და კვადრატულ ან კუბიკურ ზომების ერთეულებრივ შეფარდებისთვის კი საჭიროა სიგრძის სათანადო ზომების ერთეულების კვადრატად ან კუბად აყვანა. ვაკეობის ან მოცულობის გასაზომად ჩვენ კვადრატით ან კუბით კი არ ვზომავთ მოცემულ სიდიდეს, როგორც ეს ავტორს ჰგონია (გვ. 49), არამედ ჩვენ გამოვიანგარიშებთ ხოლმე. ავტორი ამისთანა კითხვას იძლევა: „რას ზომავენ კვადრატით? კვადრატით ზომავენ იატაკს, კვადრატული საჟენით ზომავენ მიწის ზედაპირს" (გვ. 49). თვით გაზომვა მიწისა ასე გამოჰყავს: „5 არშ.×50 არშინ.=50 კვ. არშინს" (გვ. 49). თვით ავტორი სახელმძღვანელოს მე-23 მე გვერდზე ამბობდა: „არ შეიძლება ითვას—5 ოთხ „არშინჯერ" გამრავლდეს: ეს აბსურდია ანუ უაზრობაა" და ე-49 გვერდზედ კი თითონვე იმეორებს ამ აბსურდს.

საზომ-საწონ-საწყაოებში ავტორს მოჰყავს მხოლოდ რუსული ზომები, ქართული ზომები კი არა. რუსულ ზომებიდან შეიძლებოდა მოყვანა მხოლოდ იმ ზომებისა, რომლებიც საქართველოში იხმარებიან, და მილი, დიუმი, ფუტი, ხაზია, ლოტი, წილი (ფირქლი) სრულებით საჭირო არ იყო. ქალაქის ფულის საზომებში საჭირო იყო თუმნობითაც ანგარიში. დროს საზომები ძალიან ღარიბად არის ახსნილ-განმარტებული. აქ დაწვრილებით საჭირო იყო განმარტება, თუ რა არის წელიწადი, რათ არის ნაკიანი და უნაკო წელიწადი, რა არის ძველი და ახალი სტილი, რითი სჯობია ახალი სტილი ძველს და სხვ. აქ კი უბრალოთ არის ჩამოთვლილი საუკუნე

განაცხადა მოხალისეთა ჯარში წასვლაზე. მათ ტყვიისმფრქვეველები აქვთ. 1 ბატალიონმა ბრძოლის ველზე წასვლაზე უარი განაცხადა. ბატალიონს იარაღი აყარეს და ზურგში გაგზავნეს. ყაზახები გატაცებით კითხულობენ ბოლშევიკურ ლიტერატურას. ბორისოგლებსკსა და ტალატოვასთან მომხდარ ამბების გამო ყაზახთა სულიერი გაწყობილება დაეცა. ტაგანროგის ოლქში მცხოვრებთა მობილიზაცია ცუდათ ტარდება. მცხოვრები დეზერტირებს მალავენ ს ფლებში კალმიკების და ინგუშების დამსჯელი რაზმები გაიწვიეს. როსტოვის საავთომყოფოები სავსეა დაჭრილებით.

სახალხო მასწავლებელი შიმშილობენ!..

რედაქციას მოუვიდა დასაბეჭდათ ერთ-ერთ პროვინციელ მასწავლებლისაგან შემდეგი წერილი: „ოთხი თვის განმავლობაში ჯამაგირები არ მიგვიღია. ნუ თუ მთავრობა არ ჰფიქრობს იმას, რომ ჩვენ სახალხო მასწავლებლებმა რით უნდა დავაკმაყოფილოთ საკუთარი და ოჯახური მოთხოვნილებანი? მათ ჰგონიათ, რომ მასწავლებლები ეხლა სცხოვრობენ თავიანთ ოჯახებში და აღარაფერი სჭირდებათო. მართალია ჩვენ შინ ვცხოვრობთ ეხლა, მაგრამ აქაც ისეთივე მოთხოვნილებანია როგორც სხვაგან სამსახურის დროს. ჩვენ ხომ ქურდობას ვერ დავიწყებთ და სხვა ბოროტ საქმეს ვერ ჩავიდენთ მარტო ჯამაგირების იმედი გვაქვს და იმას შევჩერებივართ, ძველ დროში ბევრად უკეთესი იყო, რასაც ვიღებდით თავის დროზე ვიღებდით. გვპირდებიან მომატებულ ჯამაგირს მიიღებთო, მაგრამ ნათქვამია: „პეტრეს მოსვლამდი, პავლეს ტყავი გააძვრესო" ასეა ჩვენი საქმე. აღარ გვეღირსა რაც არის ისიც. დროა მოგვაქციოს ყურადღება მთავრობამ და დაკმაყოფილოს ჩვენი მცირე მოთხოვნილება. შეტა მოთმენა აღარ შეგვიძლია, აუტანელია ეხლა ჩვენი ცხოვრება! ბევრად სიკვდილი სჯობს ასეთ სიცოცხლეს. ბაზინაში ფული არ არისო, იმით თუ იმართლებენ თავს, ნუ თუ მარტო ჩვენთვის არაა? სხვა თუ თვის თავზე იღებს? ისმინეთ ჩვენი ვედრება, უზომოთ ვიტანჯებით.

მასწავლებელთაგანი.

მუდამ ოცნების სა-მეფოში?

ამას წინათ გაზეთ „საქ. რესპუბლი-

---

100 წელიწადია, წელიწადი 12 თვეა. თვე 30 დღე-ღამეა და სხვა მორჩა და გათავდა. განა ესე არის მართლა მართალი? მეტრიული ზომებიც ძალიან მკრთალად არიან ახსნილ-განმარტებულნი. საზომ-საწონთა განხილვის შემდეგ სახელმძღვანელო გადადის სახელდებულ რიცხვთა მოქმედებებზედ. დაშლას წვრილმანობას ეძახის და 3 ფუთს მისხლებათ შლის. ფუთებს მისხლებათ რომელი ჰკვათა ყოფელი დაშლის? მე არ შევჩერდები სახელდებულ რიცხვთა მოქმედებებზედ, და გადავალ „რიცხვის გაყოფის ნიშნებზედ". თვით სიტყვა: „ნიშანი რიცხვის გაყოფისა" მე არ მომწონს, შე ვიხმარე: „გამყოფადობის ნიშნეულობა"-ს. გამყოფადობა 2, 5; 4, 25; 8, 125; 3, 9; 6, 12, 15, 18. ამ გეგმაზე უნდა დაელაგებინა მასალა და არა ისე როგორც ავტორს აქვს. გამყოფადობის ნიშნეულობის დამტკიცებანი სახელმძღვანელოში არ მოიპოვებიან. უდიდესი საერთო გამყოფი ასეა განმარტებული: „საერთო გამყოფად რამდენისამე რიცხვისა ითვლება ის რიცხვი, რომელზედაც გაიყოფა ყველა მოცემული რიცხვი მთლად და უნაშთოთ" (გვ. 68). სხვა განმარტება უდიდესი საერთო გამოყოფისა წიგნში არ არსებობს. რასაკვირველია, მოცემული რიცხვის მთლად და უნაშთოთ გაყოფა? არც თუ უმცირესი ჯერადი რიცხვია განმარტებული. უმცირეს ჯერადს ჰენსელი ... ...